ლადო გრძელიშვილი •

ევროსკეპტიკოსები ევროკავშირის გაფართოების წინააღმდეგ: საქართველოს მაგალითი

აბსტრაქტი

2023 წლის დეკემბერში ევროპული საბჭოს მხრიდან საქართველოსთვის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას ევროპარლამენტში არსებული პოლიტიკური ჯგუფებიდან დადებითი გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საერთო ოპტიმიზმისა, ევროპარლამენტში ისეთი პოლიტიკური ჯგუფებიც არიან (იდენტობა და დემოკრატია, ევროპელი კონსერვატორები და რეფორმისტები), რომლებიც ევროკავშირის გაფართოების საკითხს კრიტიკულად უყურებენ. ევროკავშირის შიგნით ევროსკეპტიკური პოლიტიკური ჯგუფების შესწავლის გარეშე ფაქტობრივად წარმოუდგენელია იმის ანალიზი, თუ გაფართოების კუთხით საქართველოზე რა ფაქტორები მოქმედებს ნეგატიურად. აღნიშნული საკითხის აქტუალურობა განპირობებულია იმ მიზეზით, რომ საქართველოში ევროსკეპტიციზმი და შესაბამისად, ევროსკეპტიკური პოლიტიკური ჯგუფები მხოლოდ ნაწილობრივ არის შესწავლილი, რაც პოლიტიკურ დღის წესრიგში ძირითადად, მხოლოდ იმ ევროპარტიებს ტოვებს, რომლებიც საქართველოსკენ ევროკავშირის გაფართოებას დადებითად უყურებენ. როგორც გამოჩნდა, ევროსკეპტიკოსები საქართველოსკენ ევროკავშირის გაფართოების საწინააღმდეგო არგუმენტებად ისეთ ფაქტორებს ასახელებენ, როგორებიცაა საქართველოში დემოკრატიასთან დაკავშირებული პრობლემები, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, ევროკავშირთან საერთო საზღვრის არარსებობა, რუსეთის ნეგატიური როლი, თავად ევროკავშირში არსებული სკეპტიციზმი

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-მკვლევარი.

ზოგადად გაფართოებასთან დაკავშირებით და სხვა. დასახელებული ფაქტორები არამარტო იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ევროსკეპტიკოსთა საქართველოსადმი დამოკიდებულებას გვიჩვენებს, არამედ იმითაც, რომ ევროპარლამენტის შიგნით ასეთი ჯგუფები სიდიდით რიგით მე-5 და მე-6 ძალას წარმოადგენენ, რაც ერთი რამის მანიშნებელია - რომ ახლო მომავალში მათ რიტორიკას ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაზე გადამწყვეტი გავლენა ვერ ექნება.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, ევროპარლამენტი, ევროსკეპტიციზმი, საქართველო.

შესავალი

2023 წლის 14 დეკემბერს ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა, ხოლო უკრაინასთან და მოლდოვასთან ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებები გაიხსნა. იმავე გადაწყვეტილების მიხედვით, ბოსნია და ჰერცეგოვინასთან მოლაპარაკების დაწყებას დაუჭირეს მხარი, ოღონდ მას შემდეგ, რაც ქვეყანა შესაბამის კრიტერიუმებს დააკმაყოფილებდა. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, შარლ მიშელმა აღნიშნა.[1] როგორც გამოჩნდა, განაცხადის შეტანიდან კანდიდატის სტატუსის მიღებამდე საქართველოს წელიწადი და ცხრა თვე, ხოლო მოლდოვასა და უკრაინას სამი თვე დასჭირდათ. საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით ქვეყანას რეალური შესაძლებლობები უჩნდება. კერძოდ, კონტაქტები, ყურადღება, ქვეყნის სტატუსი, ავტორიტეტი, ინვეს-

[1] 1TV - საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდა

ტიციები და რეფორმირების პროცესი გაიზრდება, შესაბამისად, საქართველოს მთავრობას და მასთან ერთად ოპოზიციას, ქვეყნის განვითარების ყველა კუთხით მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ.[2]

საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი ევროპარლამენტში არსებულმა სხვადასხვა პოლიტიკურმა ჯგუფებმა, ევროპარლამენტარებმა და ევროპარლამენტის პრეზიდენტმა, რობერტა მეცოლამ მიულოცა. მიუხედავად ამისა, 14 დეკემბრის მოვლენებს ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია. ევროპული საბჭოს სხდომაზე უკრაინასთან მოლაპარაკების დაწყებისთვის კენჭისყრის დაწყებამდე უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა, ვიქტორ ორბანმა დარბაზი დატოვა. „დოიჩე ველე“-ს მიხედვით, ორბანის მხრიდან დარბაზის დატოვების გადაწყვეტილების იდეა გერმანიის კანცლერს, ოლაფ შოლცს ეკუთვნოდა, რადგან მან იცოდა რომ ორბანი გადაწყვეტილებას ხმას არ მისცემდა. დარბაზიდან უნგრეთის პრემიერ-მინისტრის გასვლის შემდეგ, უკრაინასთან მოლაპარაკების დაწყებას ევროკავშირის დანარჩენმა, 26-მა ქვეყანამ მისცმა ხმა. იმის გათვალისწინებით, რომ უნგრეთს ვეტოს უფლება არ გამოუყენებია, გადაწყვეტილება კანონიერად ჩაითვალა.[3] მოგვიანებით ორბანმა განაცხადა, რომ საქართველოსთან დაკავშირებით ყველაფერი კარგად იყო და საქართველო ყველას უყვარდა. მიუხედავად ერთსულოვნებისა, ფაქტია, რომ ევროსკეპტიკოსების დამოკიდებულება ევროკავშირის შემდგომი გაფართოების მიმართ ევროკავშირის ერთიანობისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.

[2] რადიო თავისუფლება - გზა კანდიდატობამდე და რას მოიტანს სტატუსი?

[3] რადიო თავისუფლება - DW: დარბაზიდან ორბანის გასვლა შოლცის იდეა იყო

ევროსკეპტიციზმის მნიშვნელობა და მისი სახეები

ტერმინი „ევროსკეპტიკოსი“ ისეთი ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, რომელსაც ევროკავშირის სიცოცხლისუნარიანობასა და სარგებლიანობაში ეჭვი ეპარება (Le Petit Larousse, 2011, P. 101). რაც შეეხება „ევროსკეპტიციზმს“, ის შემდგომი ევროპული ინტეგრაციის მიმართ წინააღმდეგობას გამოხატავს, რასაც ზოგჯერ ევროინტეგრაციის მიმდინარე პროცესში ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნების მძლავრი სურვილი ახლავს (Bacescu, 2014). ევროსკეპტიციზმის სხვა აღწერილობები ამტკიცებენ, რომ ტერმინი გავლენის უფრო დიდ ველს მოიცავს. მაგალითად, ევროსკეპტიციზმი ევროპული ინტეგრაციის საწინააღმდეგო ზოგადი ტერმინი გახდა. მარგარიტა რეინო და კაროლინა პლაზა გამოცემულ სტატიებში წერდნენ, რომ ევროსკეპტიციზმი პოლიტიკურ დისკურსში 1992 წელს გაჩნდა, როგორც ევროინტეგრაციის საწინააღმდეგო ტერმინი. მაასტრიხტის ხელშეკრულების (1992) შემდეგ, ევროპულ პოლიტიკაში ევროსკეპტიციზმი ფართოდ გავრცელებული ფენომენი გახდა. სხვადასხვა კვლევები ევროსკეპტიციზმის კონცენტრაციას ევროპული პარტიების რადიკალურად მემარცხენე ან მემარჯვენე იდეოლოგიებში ადასტურებენ.

რბილი ევროსკეპტიციზმი	**მკაცრი ევროსკეპტიციზმი**
ევროკავშირის ზოგიერთი ინსტიტუტისა და პოლიტიკისადმი წინააღმდეგობა. ევროკავშირის ინსტიტუტების ძალაუფლების ცენტრალიზაციისადმი, შემდგომი ინტეგრაციისადმი და გაფართოებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება.	ევროკავშირში გაწევრიანებასა და მის არარეფორმირებადობაზე ხასგაზმა. ევროკავშირის მიმართ ცალსახა ოპონირება. პარტიები რომლებიც ამ ხაზს მიჰყვებიან, თავიანთ ქვეყნებს ევროკავშირის დატოვებას ან გაერთიანების დაშლას (თანამედროვე ფორმით) სთავაზობენ.

ევროსკეპტიციზმი არ უნდა აგვერიოს ანტი-ევროპეიზმთან, რომელიც ევროპული კულტურისა და ეთნიკური ჯგუფებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას წარმოადგენს. ევროსკეპტიციზმის ძირითადი წყაროა რწმენა, რომ ინტეგრაცია ეროვნულ სუვერენიტეტს უთხრის ძირს, ევროკავშირი ელიტარულ ერთობას წარმოადგენს და მას არც ლეგიტიმაცია და გამჭირვალობა გააჩნია, ევროკავშირი მძლავრად ბიუროკრატიულია და ის მიგრაციის მაღალ დონეს უწყობს ხელს. ევროსკეპტიციზმი პოლიტიკური სპექტრის ჯგუფებში, როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე და ხშირად, პოპულისტურ პარტიებში გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ევროსკეპტიკოსები ევროკავშირს ძირითადად, ერთნაირი მიზეზების გამო აკრიტიკებენ, ევროსკეპტიკოსი მემარცხენე პოპულისტები ეკონომიკურ საკითხებზე (ევროპული ვალის კრიზისი), ხოლო ევროსკეპტიკოსი მემარჯვენე პოპულისტები ნაციონალიზმსა და იმიგრაციაზე ამახვილებენ ყურადღებას. მიუხედავად ამისა, ყველა ევროსკეპტიკური პარტია აუცილებლად პოპულისტური, ხოლო ყველა პოპულისტური პარტია აუცილებლად ევროსკეპტიკოსი არ არის. აღსანიშნავია, რომ პოპულიზმი დემოკრატიის ფუნქციონირების შესახებ იდეების ზოგად ნაკრებს წარმოადგენს, ხოლო ევროსკეპტიციზმი უფრო კონკრეტული პოლიტიკური საკითხის (ევროპული ინტეგრაცია) მიმართ პოზიციას ეხება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ წინასწარი ანალიზის მიხედვით, ამომრჩეველთა დონეზე პოპულისტური და ევროსკეპტიკური განწყობები ხშირად ერთმანეთს ემთხვევა. ამგვარად, პარტია, რომელიც ევროინტეგრაციის ღირებულებებს, მიზნებსა და პოლიტიკას ეწინააღმდეგება, მას როგორც წესი, რბილი ან მკაცრი ევროსპეკტიკური პოზიციები აქვს. ევროსკეპტიკოსი

პარტიები ამგვარ ტექნიკას ჩვეულებრივ, ახალი ამომრჩევლის მოსაზიდად და პოლიტიკური გავლენის გასაზრდელად იყენებენ.[4]

ცხრილი N1 - ევროსკეპტიციზმის სახეები

ეკონომიკურ კრიტერიუმზე დაფუძნებული ევროსკეპტიციზმი	რაოდენობრივად იმ ძირითად სარგებელსა და ხარჯებს ასახავს, რომლებიც ევროკავშირში გაწევრიანების შედეგად წარმოიქმნება.
სუვერენიტეტის კრიტერიუმზე დაფუძნებული ევროსკეპტიციზმი	მიიჩნევს, რომ ევროკავშირის დონეზე თანამშრომლობა ეროვნული სუვერენიტეტისთვის გამოწვევას არ უნდა წარმოადგენდეს. მას სურს, რომ სოციალურ-კულტურული პოლიტიკისთვის ეროვნული უნარები შეინარჩუნოს.
დემოკრატიულ კრიტერიუმზე დაფუძნებული ევროსკეპტიციზმი	ევროკავშირის ამჟამინდელ ინსტიტუციურ სტრუქტურას მოქალაქეთა წარმომადგენლობისა და დემოკრატიული თანამონაწილეობის თვალსაზრისით არაადეკვატურად აღიქვამს.
პოლიტიკურ კრიტერიუმზე დაფუძნებული ევროსკეპტიციზმი	ევროკავშირის მოქმედებას პოლიტიკური ოჯახისადმი კუთვნილების დოქტრინაზე დაყრდნობით აფასებს.

წყარო: Adapted from Chalmers, 2013, Habermas, 2013.

ევროკავშირის დატოვებამდე (2020) გაერთიანებული სამეფო ევროსკეპტიკოსი ქვეყნის ყველაზე შესაფერის მაგალითს წარმოადგენდა. გაერთიანებული სამეფო ევროპის კონტინენტური მიწის-

[4] European Center for Populism Studies - Euroscepticism

გან დაშორებული იყო და ფსიქოლოგიურად ევროინტეგრაციის მოძრაობისგან განცალკევებულად მოქმედებდა. პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი გაერთიანებული სამეფოსთვის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ევროსკეპტიკოს ავტორიტეტს წარმოადგენდა. თავის წიგნში ტეტჩერი ამტკიცებდა, რომ ფუნდამენტური რეფორმების არარსებობის შემთხვევაში, ევროკავშირიდან გასვლით გაერთიანებული სამეფო უკეთესი ქვეყანა იქნებოდა (Thatcher, 2002, P. 403). ტეტჩერი ეროვნული სუვერენიტეტის მნიშვნელობასა და ეროვნული სახელმწიფოს სიწმინდეს გამუდმებით უსვამდა ხაზს, რაც კონსერვატიული პარტიის უძველეს ტრადიციას წარმოადგენდა. პრემიერ-მინისტრის ევროსკეპტიკური დამოკიდებულებები ამ კუთხითაც კარგად ჩანდა (Baker, Gamble and Seawright, 2002, P. 400).

ევროპარლამენტში არსებული ევროსკეპტიკური პოლიტიკური ჯგუფები

ევროკავშირის ფარგლებში, ევროსკეპტიკური ძალები წლების განმავლობაში არსებობდნენ. ისინი თავის მხრივ, ევროკავშირის პოლიტიკის წარმართვას ცდილობდნენ. მათგან, ყველაზე მნიშვნელოვანი ულტრამემარჯვენე პარტიებია. მაგალითად, The National Rally საფრანგეთში (ევროპარლამენტის ჯგუფი - იდენტობა და დემოკრატია (ID)), Brothers of Italy (ევროპელი კონსერვატორები და რეფორმისტები (ECR)), Law and Justice Party პოლონეთში (ევროპელი კონსერვატორები და რეფორმისტები), Alternative for Germany (იდენტობა და დემოკრატია), Lega Nord იტალიაში (იდენტობა და დემოკრატია), Party for Freedom ჰოლანდიაში (იდენტობა და დემოკრატია), The Freedom Party ავსტრიაში (იდენტობა და დემოკრატია), Jobbik – Conservatives უნგრეთში (დამოუკიდებელი დეპუტატები) და სხვები. ევროკავშირის ბევრ წევრ ქვეყანაში ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ 2004 და 2009 წლის ევროპარლამენტის

არჩევნებში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს (Ultan and Ornek, 2015). დღესდღეობით უნგრეთში ევროსკეპტიციზმის მთავარი ხაზი ყველაზე ძლიერად არა Jobbik-ის მიერ, არამედ ვიქტორ ორბანის პარტიის, „ფიდესის“ (ევროპარლამენტი - დამოუკიდებელი დეპუტატები) მიერაა წარმოდგენილი. აღნიშნული პარტია (არაერთი მკვლევრის შეფასებით) კლასიფიცირებულია, როგორც რბილი ევროსკეპტიკური გაერთიანება (Duro, 2010). „ფიდესის“ და ვიქტორ ორბანის დამოკიდებულებები აჩვენებს, რომ მათთვის სუვერენიტეტი ქვეყნის მხრიდან გადაწყვეტილებათა მიღების აბსოლუტურ დამოუკიდებლობას ნიშნავს, რაშიც მათი აზრით, ევროკავშირი უხეშად ერევა. აქედან გამომდინარე, პარტიისთვის ევროკავშირი უპირველეს ყოვლისა, სავაჭრო, ეკონომიკური ალიანსია და არა პოლიტიკური ერთობა. ცენტრალიზაციის ნებისმიერი მცდელობა პირდაპირ განიმარტება, როგორც ეროვნულ სუვერენიტეტზე თავდასხმა (Fekete, 2023). როგორც ჩანს, ევროპარლამენტში არსებული პოლიტიკური ჯგუფებიდან ევროსკეპტიკოსი პარტიები ძირითადად, იდენტობა და დემოკრატიაში (ID) და ევროპელ კონსერვატორებსა და რეფორმისტებში (ECR) არიან, ევროსკეპტიკოსები ძირითადად მემარჯვენე ან ულტრამემარჯვენე გაერთიანებებში გრძნობენ თავს კომფორტულად.

ევროპარლამენტში არსებული პოლიტიკური ჯგუფი, იდენტობა და დემოკრატია (Identity and Democracy) მემარჯვენე და ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენს. აღნიშნული ჯგუფი ევროპარლამენტში 2019 წლის 12 ივნისს შეიქმნა. იდენტობა და დემოკრატიის ჯგუფისთვის ნაციონალისტური, მემარჯვენე-პოპულისტური და ევროსკეპტიკური განცხადებებია დამახასიათებელი. აღნიშნული ჯგუფის ძირითადი პრიორიტეტებია ევროპული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ევროპული ერების სუვერენიტეტი, სამუშაო ადგილებისა და უსაფრთხოების გაზრდა, არალეგალური იმიგრაციის შეჩერება, ლეგალური იმიგრაციის

რეგულირება, ევროკავშირის ბიუროკრატიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა, ევროპის პოტენციური ისლამიზაციის პრევენცია და სხვა. იდენტობა და დემოკრატია თურქეთის ევროკავშირში შესაძლო გაწევრიანებას პირდაპირ ეწინააღმდეგება. შედეგად, ჯგუფი ევროკავშირის შემდგომ გაფართოებას კრიტიკულად უყურებს. მიუხედავად ევროსკეპტიციზმისა, იდენტობა და დემოკრატია საკუთარ თავს აფასებს, როგორც სუვერენულობის მომხრეს და არა ანტი-ევროპულს. იდენტობა და დემოკრატიის ჯგუფის 2019-2024 წლების პრიორიტეტებში შემდეგი გზავნილებია ჩაწერილი: წევრ ქვეყნებს უფლება აქვთ დაიბრუნონ სუვერენიტეტის ნაწილი, რომელიც ევროკავშირისთვის დაკარგეს, ევროკავშირს ახალი კომპეტენციები არ უნდა გადაეცეს, ჯგუფი შეეწინააღმდეგება ევროკავშირის ნებისმიერი პოლიტიკური სფეროს გაფართოებას, რომელშიც წევრ სახელმწიფოებს ვეტოს უფლების გამოყენება აღარ ექნებათ, საჭიროა ევროკავშირის საგარეო საზღვრების უკეთესი დაცვა, ყველა ერს აქვს საკუთარი საზღვრების დაცვის, კონტროლისა და ზედამხედველობის უფლება, ევროპული ცივილიზაცია, მისი ქრისტიანული მემკვიდრეობა და ეროვნული იდენტობა მკაცრად უნდა იყოს დაცული, მოლაპარაკებები თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებაზე, რომელიც არ არის ევროპული ქვეყანა, უნდა დასრულდეს.[5] 2024 წლის თებერვლის მონაცემებით, აღნიშნულ ჯგუფს ევროპარლამენტში 59 დეპუტატი ჰყავდა: League (იტალია, 23 დეპუტატი), National Rally (საფრანგეთი, 18 დეპუტატი), Alternative for Germany (9 დეპუტატი), Freedom Party of Austria (3 დეპუტატი), Flemish Interest (ბელგია, 3 დეპუტატი) და ა.შ. იდენტობა და დემოკრატია ევროპარლამენტში სიდიდით მე-6 ჯგუფს წარმოადგენს.

[5] Statutes of The Identity and Democracy (ID) Group in the European Parliament

რაც შეეხება ევროპელ კონსერვატორებსა და რეფორმისტებს (European Conservatives and Reformists), მათთვის შედარებით რბილი ევროსკეპტიციზმია დამახასიათებელი. აღნიშნული ჯგუფი მემარჯვენე-ცენტრისტული (მათ შორისაა ულტრა-მემარჯვენე ეროვნული პარტიები) გაერთიანებაა, რომელიც 2009 წელს პრაღის დეკლარაციის დამფუძნებელი პრინციპების შესაბამისად შეიქმნა. ევროპელი კონსერვატორებისა და რეფორმისტების მთავარი მიზანია ევროკავშირის მხრიდან შეუმოწმებელ ინტეგრაციას, გაფართოებასა და ევროკავშირის პოტენციურ, ფედერალურ ევროპულ სუპერსახელმწიფოდ გარდაქმნას დაუპირისპირდეს, ამასთანავე, ჯგუფისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირი წევრი სახელმწიფოების საშინაო საკითხებში „უხეშად“ არ ჩაერიოს და იმიგრაციის კონტროლი გაამკაცროს. ECR-ის ფარგლებში, ზოგიერთი პარტია და ევროპარლამენტარი რბილი ევროსკეპტიციზმის გაძლიერებას უწყობს ხელს (მკაცრი ევროსკეპტიციზმის საწინააღმდეგოდ, რომელიც ევროკავშირის არსებობის იდეას სრულად უარყოფს). თებერვლის მონაცემებით, ევროპელი კონსერვატორები და რეფორმისტები ევროპარლამენტში სიდიდით მე-5 ჯგუფს წარმოადგენენ: Law and Justice Party (პოლონეთი, 23 დეპუტატი), Brothers of Italy (7 დეპუტატი) და ა.შ.[6]

ევროკავშირის გაფართოება და მისი პერსპექტივები

2023 წლის ივლისში გამოქვეყნებული ერთ-ერთი კვლევის თანახმად, 26,425 გამოკითხული რესპონდენტიდან (14 წელი და მაღლა, პირისპირ ინტერვიუ და ონლაინ გამოკითხვა) ავსტრიაში 60% მიიჩნევს, რომ ევროკავშირი აღარ უნდა გაფართოვდეს, საფრანგეთში - 55%, გერმანიაში - 49%, სლოვაკეთში - 41%, კვიპროსში და ჩეხეთში - 37%, ბულგარეთში - 25% და სხვა. საწინააღმდეგოდ,

[6] European Conservatives and Reformists - https://ecrgroup.eu/

გაფართოების მომხრეა ლიეტუვა (77%), ესპანეთი (74%), ხორვატია (72%), ლატვია (71%), მალტა (70%), პოლონეთი (67%), სლოვენია (66%), უნგრეთი (63%) და სხვა.[7]

ევროკავშირის გაფართოების და შესაბამისად, კონკრეტული საკითხების მიმართ (რუსეთ-უკრაინის ომი) იტალიელები საკმაოდ სკეპტიკურად არიან განწყობილნი. მაგალითად, იტალიელთა ნაწილს არ სჯერა რომ ევროკავშირი რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების კუთხით დადებით როლს თამაშობს.[8]

2009 წლის 7 მაისს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ქოლგის ქვეშ აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) პროგრამა ამოქმედდა. მისი მთავარი იდეა აღმოსავლეთის, მათ შორის საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, მოლდოვისა და ბელარუსის ევროკავშირთან დაახლოების უზრუნველყოფაა. აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა ევროკავშირის გაფართოების პროცესიდან გამომდინარეობს, რაც გულისხმობს: პარტნიორ სახელმწიფოებთან ასოცირების შესახებ შეთანხმების მიღწევას, ეკონომიკური ინტეგრაციისა და დემოკრატიული რეფორმების ხელშეწყობას, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებას და სხვა. მსგავსი ნაბიჯებით, ევროკავშირი მის საზღვრებთან სტაბილური და დემოკრატიული პროცესების განვითარებას ცდილობს, რათა შემდგომმა გაფართოებამ შედარებით უმტკივნეულოდ ჩაიაროს. მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ამოქმედებიდან დღემდე ევროკავშირის ზოგიერთი პარტნიორი სახელმწიფო დემოკრატიულ წარუმატებლობებს, გაჭიანურებულ რეფორმებს და რუსეთის აგრესიულ გეოპოლიტიკურ ინტერვენციებს უმკლავდება.

---

[7] Statista – Public Opinion on Further Enlargement of the European Union to include other Countries in future years in 2023, by EU member state

[8] Federica Pascale – Italians increasingly sceptical of EU's positive role in Ukraine war - EURACTIV

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების პროცესები დროთა განმავლობაში აღმავლობასა და ვარდნას განიცდის. მოლდოვამ, რომელსაც 2014 წლამდე ევროკავშირში ინტეგრაციის თვალსაზრისით ერთ-ერთ მოწინავე სახელმწიფოდ მიიჩნევდნენ, დემოკრატიული სტანდარტების თვალსაზრისით დიდი უკუსვლა განიცადა. 2014 წელს პროევროპული რეფორმების კოალიცია მასიურ კორუფციულ სკანდალში ჩაეფლო, რის შედეგადაც მოლდოვის სამი უმსხვილესი ბანკიდან 1 მილიარდ დოლარზე მეტი იქნა მითვისებული. საქართველოში მილიარდელი ბიძინა ივანიშვილი მმართველი პარტიის, ქართული ოცნების კონტროლს არაფორმალური მეთოდებით ცდილობს. ივანიშვილი ძალაუფლების ჩრდილოვან, არაფორმალურ სტრუქტურებს ეყრდნობა, რაც პირველ რიგში მის ავტორიტეტს სიმდიდრიდან გამომდინარე უსვამს ხაზს. უკრაინამ (2014) და სომხეთმა (2018) მასობრივი პროტესტები გაიარეს, რამაც სამთავრობო ცვლილებები გამოიწვია. 2019 წლის უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში ვოლოდიმირ ზელენსკის გამარჯვება ოლიგარქიული ისტებლიშმენტის მიმართ ხალხის უკმაყოფილების ნიშანია. დემოკრატიული ტრანზიციის თვალსაზრისით, ევროკავშირის ინსტიტუციური ინსტრუმენტები პარტნიორ ქვეყნებში ოლიგარქიული პოლიტიკური პრაქტიკის წინააღმდეგ არაეფექტური ჩანს. სანაცვლოდ, ევროკავშირი სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერას, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას უფრო აქცევს ყურადღებას.

წლების განმავლობაში, ევროკავშირის გაფართოებას რუსეთის ანტაგონისტური ქმედებები უშლის ხელს. რუსეთს შესწევს უნარი, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დეზინფორმაციის გავრცელებით, საბოტაჟითა და რუსული პროპაგანდის ჩანერგვით არეულობა გამოიწვიოს. ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ისეთ პოლიტიკას ატარებს, რომელიც რეგიონში ევრო-

პული ღირებულებების ექსპორტს ისახავს მიზნად. კრემლი ამგვარ მოცემულობას პირად საფრთხედ აღიქვამს (Casier, 2019). რუსეთის პირდაპირი რეაგირების გარდა, გეოპოლიტიკამ ბევრი პარტნიორი ქვეყნის შიდაპოლიტიკური დისკურსი დაიპყრო. შიდა დონეზე, ევროკავშირის მომხრე რეფორმატორები ევროსკეპტიკოსთა ბანაკს ეწინააღმდეგებიან, რომლებიც თავის მხრივ, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაბალანსებულ საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას უჭერენ მხარს (მაგალითად, მოლდოვისა და უკრაინის ყოფილი პრეზიდენტები, იგორ დოდონი და ვიქტორ იანუკოვიჩი).[9]

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის შეჭრამ უკრაინაში ევროკავშირის გაფართოების საკითხი წინა პლანზე წამოწია. ევროკავშირის გაფართოების საკითხი მერყევია იმის გათვალისწინებით, რომ 2014 წლიდან ევროპარლამენტში ევროსკეპტიკოსი დეპუტატების შემოდინებამ ამ საკითხთან დაკავშირებით დებატები გამოიწვია. 2014 წლის ევროპარლამენტის არჩევნების შემდეგ ევროსკეპტიკოსებმა 74 ადგილი მოიპოვეს, ამიტომ საკითხმა ევროკავშირის გაფართოების შესახებ ახალი იმპულსი შეიძინა. საწინააღმდეგოდ, არსებობს მაგალითებიც, როცა ზოგიერთი პროევროპული ჯგუფი (საფრანგეთი) ევროკავშირის გაფართოებაზე კრიტიკულად ალაპარაკდა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ გაფართოება ევროპის ერთიანობასა და უსაფრთხოებას დაბრკოლებებს შეუქმნიდა. ტრადიციულად, ევროპული პოლიტიკური ჯგუფები სამ კატეგორიად იყოფიან:

1. პრო-ევროპელები (ჩვეულებრივ ცენტრისტული პარტიები, ქრისტიან-დემოკრატები, ზომიერი მემარცხენეები და მწვანეები);

[9] Johann Wolfschwenger – 10 Years Eastern Partnership – The EU and Its Strategic Dilemma

2. მტკიცედ ევროსკეპტიკოსები, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგებიან ევროკავშირს (პოპულისტური ან ულტრა-მემარჯვენე მოძრაობები);

3. ზომიერი ევროსკეპტიკოსები, რომლებიც ევროპულ პროექტს ეთანხმებიან, მაგრამ მის განხორციელებას კრიტიკულად აფასებენ (რადიკალი მემარცხენეები, კონსერვატორები, სუვერენიტეტის დამცველნი).

ორ ევროსკეპტიკურ ჯგუფს - რადიკალებს და ზომიერებს ზოგადად, ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული პოზიციები აქვთ. მიუხედავად ამისა, 2014 წლის შემდეგ ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებით მათი კრიტიკული პოზიციები ერთმანეთს დაემთხვა. მაინც, უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით ევროპარლამენტში ევროსკეპტიკოსები უმცირესობაში რჩებიან, ამიტომ მათ ჯერჯერობით არ შესწევთ უნარი, რომ ევროპული პოლიტიკის ტენდენციები შეცვალონ.[10]

ევროკავშირის გაფართოების მოწინააღმდეგეთა არგუმენტები ძირითადად, ისეთი ეგზისტენციალური ისტორიული მაგალითებით აიხსნება, როგორიც ევროზონისა და ლტოლვილთა კრიზისი, „ბრექსიტი“ და ევროსკეპტიკოსების გაძლიერება იყო (Wallden, 2017). საწინააღმდეგოდ, ევროკავშირის გაფართოების მომხრეთა არგუმენტები ძირითადად, გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ როგორც 2004 წელს, როცა ევროკავშირის გაფართოება ცივი ომის დასრულების შემდეგ ევროპის გაერთიანების მიზნით განხორციელდა, უკრაინაში მიმდინარე ომმა საზოგადოების ხედვა ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ რადიკალურად შეცვალა. საერთაშორისო ევროპულმა საზოგადოებამ უკრაინა, საქართველოსთან და მოლდოვასთან ერთად აღიქვა, რო-

[10] Natasha Wunsch – Enlargement of the European Union: Stop of Else? Cogito Research Magazine

გორც ერთ-ერთი მათთაგანი, რომლებსაც საერთო მტერი ჰყავთ. მაინც, ამ ფონზე მთავარი საკითხი არის ის, თუ ევროკავშირს ასეთი დამოკიდებულება რამდენ ხანს ექნება.[11]

რუსეთის სრულმასშტაბიანმა ომმა უკრაინასთან გაფართოების დებატებს ახალი იმპულსი შესძინა. წევრი ქვეყნების უმეტესობა ახლა გაფართოებას განიხილავს, როგორც გეოპოლიტიკურ გამოწვევებზე რეაგირებას და რეგიონში ევროკავშირის გაძლიერების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ გეოპოლიტიკური არგუმენტები ევროკავშირის გაფართოების სასარგებლოდ დღეს უფრო მყარად გამოიყურება, ვიდრე 20 წლის წინ, პროცესი სავარაუდოდ, უფრო მეტ წინააღმდეგობას წააწყდება, ვიდრე მაშინ. ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობაში გაფართოებისადმი ინტერესს ტრანსფორმაციული ცვლილებებისადმი შიში სჭარბობს, რაც შესაძლოა ინტიტუციურმა რეფორმებმა გამოიწვიოს. ევროკავშირის ძალთა ბალანსის შესაძლო ცვლილებები, კანონის უზენაესობის დაცვის გადაუჭრელი საკითხი და ორმხრივი კონფლიქტები ევროკავშირის მთავარ დაბრკოლებებს წარმოადგენს. ერთ-ერთი კვლევის მონაცემებით,[12] ევროკავშირის ერთიანობა და ბიუჯეტი სწორედ ის პრობლემებია, რომლებიც გაფართოების პერსპექტივებზე ნეგატიურად მოქმედებენ. გარდა ამისა, ორმხრივი დავები კანდიდატ ქვეყნებსა და მესამე აქტორებს შორის, ანუ გეოპოლიტიკური გამოწვევები ევროკავშირის გაფართოების კიდევ ერთი დაბრკოლებაა (Buras, Morina, 2023, P. 1).

ევროკავშირი გაფართოების პროცესის დაძვრას ვერ შეძლებს, თუკი არ მოგვარდება მის წევრ და კანდიდატ ქვეყნებს შორის ორმხრივი საკითხები. ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა კანდიდატი

[11] Matteo Bonomi, Irene Rusconi – From EU "Enlargement Farigue" to "Enlargement Enthusiasm"? Policy Briefs

[12] What are the key concerns in your country regarding enlargement? - ECFR

ქვეყნების გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები არაერთხელ გადადეს, მათ შორის, ტერიტორიული დავებისა და უმცირესობათა საკითხების მიზეზებით, რაც გაფართოების პროცესის სანდოობასა და ეფექტურობას ძირს უთხრის. მაგალითად, უნგრეთის ურთიერთობა უკრაინასთან უმცირესობების საკითხებთან დაკავშირებით ამ უკანასკნელის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს უშლის ხელს. ორი ქვეყანა ერთმანეთთან ორმხრივ მოლაპარაკებებს აწარმოებს უკრაინაში უნგრელი ეთნიკური უმცირესობის და მის ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით. ამავდროულად, საბერძნეთისა და ალბანეთის დაპირისპირება ალბანეთში ბერძნული უმცირესობის უფლებების გამო შეიცავს პოტენციალს, რომ მომავალში საბერძნეთმა ალბანეთის ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებები დაბლოკოს (Buras, Morina, 2023, P. 28).

რუსეთის ომი უკრაინასთან ევროკავშირის უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. ევროსკეპტიკოსების მოსაზრებით, მრავალი ქვეყანა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ახალ წევრებს მიღებას დათანხმდეს, თუ მსგავსი ტერიტორიული კონფლიქტები არ მოგვარდება. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირში ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილებისთვის და მათ შორის, გაფართოებისთვის ერთსულოვნებაა საჭირო, როგორც ჩანს, მომავალში ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებები გველოდება (Buras, Morina, 2023, P. 29). სანამ რუსეთთან ომი მიმდინარეობს ევროკავშირის „გეოპოლიტიკური“ გაფართოება უკრაინასთან ნაკლებად სავარაუდოა. ასეთ ვითარებაში, ევროკავშირს პროგრესი სექტორულ დონეზე ექნება, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ენერგეტიკა, კლიმატი, მომსახურება და ციფრული ტრანზიცია.[13]

[13] Dimitar Bechev – Judy Asks: Is the EU Ready for Further Enlargement? Carnegie Europe

ევროკავშირის გაფართოების პროცესი და საქართველო

ევროკავშირის გაფართოების პერსპექტივების კუთხით, საქართველოში სიტუაცია რთულად გამოიყურება. სიტუციას რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ისტორიული ტერიტორიების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირება ამწვავებს. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთმა ე.წ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა აღიარა. აღსანიშნავია, რომ რუსეთმა კოსოვოს მხრიდან სერბეთისგან დამოუკიდებლობის გამოცხადება საკუთარი პოზიციის „ლეგიტიმაციისთვის" გამოიყენა. მაშინ, როცა საქართველო სეპარატისტულ რეგიონებს ოკუპირებულ ტერიტორიებად მიიჩნევს, რუსეთი ორივე ადგილას სამხედრო წვრთნებს ატარებს. საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში სეპარატისტული რეგიონების პრორუსული და ანტი-ევროპული პოზიცია ამ ქვეყნების რეფორმირების კუთხით ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს (Dragomir, 2023, PP. 466-468).

საქართველოს მთავრობის მხრიდან გაკეთებული განცხადებები და პრაქტიკა ევროპელი პარტნიორების ნაწილისთვის მიუღებლად აღიქმება:[14] ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის შეთანხმების დენონსაცია, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნა ისე, რომ აღნიშნული მიშელის შუამავლობით გაფორმებულ შეთანხმებას ეწინააღმდეგებოდა, ევროპარლამენტარების მისამართით გაჟღერებული შეურაცხმყოფელი რიტორიკა და მრავალი სხვა მაგალითი ევროსკეპტიკოსების წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან ისინი ქართული ოცნების განცხადებებს ევრო-

[14] Regis Gente – Georgia: Terrible dilemma for Europe, Fondation Robert Schumann

კავშირის გაფართოების საწინააღმდეგო არგუმენტების გასამყარებლად გამოიყენებენ.

„ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ ევროპარლამენტის კონკრეტული დეპუტატების განცხადებები საქართველოში პოლარიზაციას აღრმავებს და მოუწოდებს მათ ნუ დააზიანებენ ქვეყანას“.[15]

„ირაკლი კობახიძე მმართველი გუნდის კრიტიკის პასუხად ევროპელ პარტნიორებს აკრიტიკებს და მათ რადიკალური ოპოზიციის უცხოელ ლობისტებს უწოდებს“.[16]

“ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს თუ მოგვცემენ, გაგვიხარდება და ძალიან კარგი იქნება, თუ არ მოგვცემენ, არც ეს არ არის პრობლემა, თქვა თბილისის მერმა, კახა კალაძემ“.[17]

„ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს არ გვაძლევენ, იმიტომ რომ საქართველო არ ჩაერთო სანქციებში და ომში, აცხადებს თბილისის მერი, კახა კალაძე“.[18]

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ კორნელი კაკაჩიას მოსაზრებით, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ქართული ოცნება პირდაპირ პრორუსულია, არამედ უფრო ოპორტუნისტული. იმისთვის, რომ მმართველმა პარტიამ ძალაუფლება შეინარჩუნოს, მზადაა ნებისმიერთან ითანამშრომლოს. ეს მოიცავს ჩინეთსაც, რომელთანაც 2023 წლის ზაფხულში საქართველო „სტრატეგიულ პარტნიორობას“ დათანხმდა. საქართველოსთვის ევროკავ-

---

[15] ნუ დააზიანებენ ჩვენს ქვეყანას - კობახიძე ევროპარლამენტარებზე, On.ge

[16] ან აღიარებენ, რომ საქართველო სახელმწიფოა, ან მოგვიწევს ვუწოდოთ კრიმინალების მფარველები - კობახიძე ევროპარლამენტარებზე, On.ge

[17] კალაძე კანდიდატის სტატუსზე: თუ არ მოგვცემენ, არც ეს არ არის პრობლემა, Tabula.ge

[18] კალაძე: კანდიდატის სტატუსს არ გვაძლევენ, იმიტომ რომ საქართველო არ ჩაერთო სანქციებში და ომში, რადიო თავისუფლება

შირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებამდე კორნელი კაკაჩიამ განაცხადა, რომ ქართული ოცნება სტატუსის მინიჭებას ისახავდა მიზნად ისევ და ისევ ოპორტუნისტული გათვლებით, რადგან 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე აღნიშნული საკუთარ დამსახურებად წარმოაჩინოს.[19]

ბრიტანული მედია-ორგანიზაციის, TLDR News-ის მიხედვით, იმ ფაქტორებს შორის, რამაც შესაძლოა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას შეუშალოს ხელი, არის:[20]

1. საქართველოში დემოკრატიასთან დაკავშირებული პრობლემები;

2. ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა;

3. ევროკავშირთან საერთო საზღვრის არარსებობა;

4. რუსეთის ნეგატიური როლი.

5. ევროკავშირში არსებული სკეპტიციზმი ზოგადად გაფართოებასთან დაკავშირებით

მიუხედავად მომძლავრებული ევროსკეპტიციზმისა, თანამედროვე ევროპარლამენტი გაფართოების საკითხის მიმართ დადებითადაა განწყობილი. ევროპარლამენტი გაფართოებას აღიარებს, როგორც გეოპოლიტიკურ ინვესტიციას, რადგან რუსეთის ფედერაციისგან მომავალი საფრთხე არა მხოლოდ უკრაინას, არამედ მთელი ევროპისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის არქიტექტურას ეხება. მაშინაც კი, თუ ულტრამემარჯვენე, ევროსკეპტიკური პარტიები 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებში წარმატებას მიაღწევენ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ გაფართოების მომხრე ევროპარლამენტის ჯგუფების

[19] Eva Hartog – Georgians say they want to join Europe, but not like this, POLITICO

[20] ნიკო ნერგაძე - უნდა გახდეს თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრი - რას ამბობენ ინტერნეტში, რადიო თავისუფლება

გავლენა რადიკალურად შეცვალონ. როგორც ჩანს, 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების შემდეგ ევროკავშირის გაფართოების საკითხი დღის წესრიგში კვლავ მძლავრად იდგება, მაგრამ გეოპოლიტიკური ცვლილებების სირთულეთა გათვალისწინებით, ევროკავშირში ახალი წევრი სახელმწიფოების, მათ შორის, საქართველოს მიღება მარტივი არ იქნება. გაფართოების მზადყოფნით ევროკავშირი წევრობის კანდიდატის სტატუსის მქონე სახელმწიფოებს საჭირო რეფორმების გატარებისკენ მოუწოდებს. მაინც, ევროკავშირისთვის, რომელმაც ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ძლიერი წევრი სახელმწიფო დაკარგა („ბრექსიტის" მაგალითი) ახალ წევრთა მიღება მისასალმებელი უნდა იყოს.[21] ევროპარლამენტის პრეზიდენტის, რობერტა მეცოლას განცხადებით: *„ევროკავშირის გაფართოება ნიშნავს უფრო ძლიერ ევროკავშირს, ევროპარლამენტი მიესალმება გაწევრიანების მისწრაფების მქონე ქვეყნების პროგრესს".*[22]

დასკვნა

ტერმინი „ევროსკეპტიკოსი" ისეთი ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, რომელსაც ევროკავშირის სიცოცხლისუნარიანობასა და სარგებლიანობაში ეჭვი ეპარება. არსებობს რბილი ევროსკეპტიციზმი, რომელიც მხოლოდ ევროკავშირის ზოგიერთი ინსტიტუტისა და პოლიტიკისადმი წინააღმდეგობას გამოხატავს და მკაცრი ევროსკეპტიციზმი, რომელიც უფრო რადიკალურია და ევროკავშირის დატოვებას ან გაერთიანების თანამედროვე ფორმით დაშლას გულისხმობს. უნდა აღინიშნოს, რომ ევროსკეპტიციზმს,

[21] Dr. Magdalena Frennhoff Larsen – Will 2024 bring a new momentum for EU enlargement? UK IN A CHANGING EUROPE

[22] 1tv.ge - https://1tv.ge/news/roberta-mecola-evrokavshiris-gafartoeba-nishnavs-ufro-dzlier-evrokavshirs-evroparlamenti-miesalmeba-gawevrianebis-miswrafebis-mqone-qveynebis-progress/

მისი სახეების კუთხით ეკონომიკური, სუვერენული, დემოკრატიული და პოლიტიკური განზომილებები აქვს. როგორც გამოჩნდა, ევროპარლამენტის ფარგლებში ევროსკეპტიკური პოლიტიკური პარტიები ძირითადად, იდენტობა და დემოკრატიაში (ID) და ევროპელ კონსერვატორებსა და რეფორმისტებში (ECR) არიან გაერთიანებულნი. 2024 წლის მარტის მონაცემებით, ევროპელი კონსერვატორები და რეფორმისტები ევროპარლამენტში სიდიდით მე-5, ხოლო იდენტობა და დემოკრატია მე-6 ჯგუფს წარმოადგენს, რაც ნიშნავს იმას, რომ ახლო მომავალში ისინი ევროპარლამენტის დღის წესრიგსა და გაფართოების საკითხზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენენ.

2023 წლის ზაფხულში გამოქვეყნებული ერთ-ერთი კვლევის თანახმად, ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან ევროკავშირის შემდგომი გაფართოებისადმი ნეგატიური დამოკიდებულებები შეინიშნება ავსტრიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, სლოვაკეთში, ჩეხეთში და სხვა. მათი არგუმენტები ძირითადად, ისეთი ეგზისტენციალური ისტორიული მაგალითებით აიხსნება, როგორიცაა ევროზონისა და ლტოლვილთა კრიზისი, „ბრექსიტი“ და ევროსკეპტიკოსთა გაძლიერება იყო. მიუხედავად იმისა, რომ გეოპოლიტიკური არგუმენტები მაინც, ევროკავშირის გაფართოების სასარგებლოდ უფრო მყარად გამოიყურება, ვიდრე 20 წლის წინ, პროცესი სავარაუდოდ, უფრო მეტ წინააღმდეგობას წააწყდება, ვიდრე მაშინ. უნდა ითქვას, რომ ევროკავშირი გაფართოების პროცესის დაძვრას ვერ შეძლებს, თუკი მის წევრ და კანდიდატ ქვეყნებს შორის ორმხრივ საკითხებს ვერ მოაგვარებს. ევროკავშირის „გეოპოლიტიკური“ გაფართოება უკრაინასთან ნაკლებად სავარაუდოა, სანამ რუსეთთან ომი მიმდინარეობს.

რაც შეეხება საქართველოს, ევროკავშირის გაფართოების კუთხით სიტუაცია რთულად გამოიყურება, რაც რამდენიმე მიზეზით არის გამოწვეული. მაგალითად, საქართველოს მთავრობის მხრიდან

ევროპარლამენტართა მისამართით გაკეთებული ნეგატიური განცხადებები ევროსკეპტიკოსების სასარგებლოდ მოქმედებს, რადგან ისინი ქართული ოცნების რიტორიკას ევროკავშირის გაფართოების საწინააღმდეგო არგუმენტების გასამყარებლად გამოიყენებენ. იმ არგუმენტებს შორის, რომლებსაც ევროსკეპტიკოსები საქართველოს წინააღმდეგ იყენებენ არის: საქართველოში დემოკრატიასთან დაკავშირებული პრობლემები, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, ევროკავშირთან საერთო საზღვრის არარსებობა, რუსეთის ნეგატიური როლი, თავად ევროკავშირში არსებული სკეპტიციზმი ზოგადად გაფართოებასთან დაკავშირებით და სხვა. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, თანამედროვე ევროპარლამენტი გაფართოების საკითხის მიმართ დადებითად არის განწყობილი, რაც იმითაცაა განპირობებული, რომ ევროპარლამენტის ფარგლებში ევროპის სახალხო პარტიისა (EPP) და სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსის (S&D) ჯგუფი სიდიდით პირველ და მეორე ჯგუფებს წარმოადგენენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნერგაძე, ნ. (2022). *უნდა გახდეს თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრი - რას ამბობენ ინტერნეტში.* რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/31702818.html

Bacescu, M. (2014). *Euroscepticism Across Europe: Drivers and Challenges.* European Journal of Interdisciplinary Studies. Bucharest University of Economic Studies, Romania.

Bechev, D. (2023). *There Are No Quick Fixes for EU Enlargement.* Carnegie Europe. https://carnegieeurope.eu/strategiceurope/91172

Bonomi, M. & Rusconi, I. (2023). *From EU "enlargement fatigue" to "enlargement enthusiasm"?* Policy Briefs. https://www.oegfe.at/policy-briefs/from-eu-enlargement-fatigue-to-enlargement-enthusiasm/?lang=en

Buras, P. & Morina, E. (2023). *Catch-27: The Contradictory Thinking about Enlargement in the EU.* Policy Brief. European Council on Foreign Relations.

Dragomir, T. (2024). *The Associated Trio, political conditionality, and the dynamics of EU enlargement policy. DPCE online.* West University of Timisoara, Romania.

Fekete, S. (2023). *Sovereignty-Based Euroscepticism.* University of Miskolc, Faculty of Humanities and Social Sciences.

Gente, R. (2023). *Georgia: Terrible dilemma for Europe.* Fondation Robert Schumann. https://www.robert-schuman.eu/en/european-issues/674-georgia-terrible-dilemma-for-europe

Hartog, E. (2023). *Georgians say they want to join Europe, but not like this.* POLITICO. https://www.politico.eu/article/georgia-european-union-russia-candidate-status-bidzina-ivanishvili-mikhail-saakashvili/

Larsen, M. (2024). *Will 2024 bring a new momentum for EU enlargement?* UK IN A CHANGING EUROPE.

https://ukandeu.ac.uk/will-2024-bring-a-new-momentum-for-eu-enlargement/

Ultan, M. & Ornek, S. (2015). *Euroscepticism in the European Union.* International Journal of Social Sciences, Vol. IV, No. 2.

Wolfschwenger, J. (2019). *10 Years Eastern Partnership – The EU and its Strategic Dilemma.* Policy Briefs. https://www.oegfe.at/policy-briefs/10-years-eap-strategic-dilemma/?lang=en

Wunsch, N. (2023). *Enlargement of the European Union: Stop or Else?* Cogito Research Magazine. https://www.sciencespo.fr/research/cogito/home/enlargement-of-the-european-union-stop-or-else/?lang=en

Lado Grdzelishvili

Eurosceptics against EU enlargement: The Case of Georgia

Abstract

In December 2023, the granting of the status of a candidate by the European Council to Georgia received a positive response from the political groups in the European Parliament, but it should be noted that despite the general optimism, there are also political groups in the European Parliament (Identity and Democracy, European Conservatives and Reformists) who are critical of the issue of EU enlargement. Without researching the Eurosceptic political groups within the European Union, it is impossible to analyze what factors harm Georgia in terms of expansion. The relevance of the mentioned issue is that Euroscepticism in Georgia and, accordingly, Eurosceptic political groups are only partially studied, which mainly leaves only those European parties on the political agenda that look positively at the expansion of the European Union towards Georgia. As it turned out, Eurosceptics cite such factors as the arguments against the expansion of the European Union towards Georgia, such as problems related to democracy in Georgia, the issue of territorial integrity, the absence of a common border with the European Union, the negative role of Russia, the skepticism in the European Union itself regarding the expansion in general, and others. The named factors are important not only because they show the attitude of Eurosceptics towards Georgia, but also because such groups within the European Parliament represent the 5th and 6th largest power, which indicates one thing- that shortly their rhetoric will not have a decisive influence on the foreign policy of the European Union.

Keywords: European Union, European Parliament, Euroscepticism, Georgia.